გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 68
(11 627)

3 - 5 სექტემბერი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ნომერშია:

- დღის წესრიგში დგას ოლიმპიური პროგრამის შემცირება.
- ლაგოდეხელებს ველოსპორტი გაახსენეს.
- ის დიდი მორაგბე და დიდი პიროვნება იყო...
- ქართული ფეხბურთის ამბები.
- არ დაგენანოთ — „დინამო! დინამო!“
- რა ხდება უცხოეთის ფეხბურთში...

## ტყვია შიგ შუბლში – ქართულ ფეხბურთს




ბოროტება, ღვარძლი და ბოლმა აშკარა გამოწვევასაც აღარ ერიდება. იმას, რითაც თავს უნდა ვიწონებდეთ და ვამაყობდეთ, ტყვიებს ვუშენთ. ერთი ჩვეულებრივი საფეხბურთო დღე იწურებოდა, როდესაც დაახლოებით საღამოს რვა საათისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი შენობის შუშებიან ფასადს ორი ტყვია მოხვდა, — ოფისის წინ ჩავლილი მანქანიდან ნასროლი. ვის და რაში დასჭირდა ეს?!.. თუნდაც მომხდარი ბოროტი, ყოველგვარ საღ აზროვნებას მოკლებული ხულიგნობა იყოს, ვანდალიზმს გამართლება არა აქვს!..

## მსოფლიო თასზე მეორე გუნდური ადგილი



შვეიცარიაში დასრულდა ძიუდოისტთა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ასპარეზობა — მსოფლიო თასის გუნდური გათამაშება, სადაც ჩვენი ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით გამოდიოდა უფროსი მწვრთნელის შოთა ხაბარელის ხელმძღვანელობით.

ევპორის წლევანდელმა ჩემპიონებმა, ჩვენმა ძიუდოისტებმა, რომლებიც ყოველთვის გვანებივრებენ მაღალი შედეგებით, თავი არც ამჯერად შეირცხვინეს მსოფლიოს უძლიერეს ფალავნებთან ჭიდილში. ფინალში გააღწიეს ჭიდაობის ამ სახეობის ფუძემდებლებთან — იაპონელებთან ერთად. ეს უკვე თავისთავად იყო დიდი წარმატება და იმის დასტური, რომ დედამიწის ზურგზე დღესდღეობით ძიუდოს ორი ციტადელი არსებობს — იაპონია და საქართველო ან, ასე ვთქვათ, საქართველო და იაპონია! სწორედ ამ ორი ქვეყნის რჩეულ ფალავანთა შერკინებას უნდა გადაეწყვიტა თუ ვის დარჩებოდა წლეულს მსოფლიოს თასი.

ამჯერად ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა იმძლავრეს და ღირსეულ მეტოქესთან პაექრობაში წაიღეს თასი ძიუდოს სამშობლოში. ჩვენთვის კი მეორე ადგილიც საპატიოა, ცხადია, თუ წინ მხოლოდ იაპონელები არიან.

ბრინჯაოს მედლები გადაეცათ იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებს. რუსეთელები ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ. ქალთა შორისაც წარმატება იაპონელებს ხვდათ წილად.

## გერმანიიდან ოქროს მედლებით და მსოფლიო თასით



საქართველოს კარატე-დოს ფედერაციისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევითა და ფინანსური შემწეობით, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გერმანიის ქალაქ ლიუბეკში კარატე-დოში მსოფლიო თასზე სასპარეზოდ გაემგზავრა.

ქართველმა კარატისტებმა შესანიშნავი ოსტატობა გამოავლინეს. ორმა — დავით ტყებუჩავამ და დავით აბრამიშვილმა დაიმსახურეს ოქროს მედლები. გუნდურ ჩათვლაშიც უძლიერესები ჩვენები იყვნენ და შინ ოქროს მედლებთან ერთად მთავარი პრიზით — ძვირფასი თასითაც დაბრუნდნენ.

გერმანიაშივე, ქ. ტრანზუნდში 14-20 ოქტომბერს გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენი კარატისტები ახლა ამ ასპარეზობისათვის ემზადებიან.

გიორგი გოლაძე

## დავით ბარამიძე – უძლიერესი დიდოსტატის შედეგით...

გერმანიაში გამართულ ვაჟ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე, როგორც გუშინ შევიტყვეთ, წარმატებით გამოსულა ჩვენი თანამემამულე 14 წლის დავით ბარამიძე. ამ ყმაწვილს პირველობა მოუპოვებია თავისზე ასაკით უფროს მოჭადრაკეებთან პაექრობაში და დიდოსტატის ნორმაც შეუსრულებია.

დათო დევნილობაში მყოფი ოჯახის წევრია. ცნობისათვის დავძენთ, რომ დათო შაშში ცნობილი ქართველი დიდოსტატის თენგიზ ბარამიძის შვილიშვილია.

გერმანული პრესა, როგორც გადმოგვცეს, თურმე სისტემატურად მოუთხრობს მკითხველებს ქართველ ვუნდერკინდზე.

## თბილისის იპოდრომზე სეზონი გაიხსნა

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი მისასალმებელია. ცხენთგამოცდის ყოველ ახალ სეზონს ყველგან დიდი ინტერესით მოელიან და ასეა ჩვენშიც, მით უფრო, რომ ბევრს ახლა ცხენი კერძო მფლობელობაშიც ჰყავს. ძირითადად, როგორც ადრე, ამჯერადაც თბილისის იპოდრომზე მაინც ყულარის ცხენსაშენის ბედაურები დომინირებდნენ და ეს გასაგებიცაა. გასახარია, რომ წლეულს უკვე მეორედ გამოდის დოლებში ცხენი აჭარიდან, იქ უკვე ორი ცხენი გაჩნდა, რომელთაგან ერთმა უკვე იასპარეზა სეზონის გახსნის პირველ დღეს. ორი ცხენი იყო წარმოდგენილი აგრეთვე რუსეთიდან. პირველ დღეს ხუთი დოლი შედგა და მასში სამ ათეულამდე ცხენ-მხედარი მონაწილეობდა.

როგორც თბილისის იპოდრომის დირექტორმა ლაშა ჯაიანმა თქვა, წლეულს დოლები კვლავ ორ კვირაში ერთხელ გაიმართება კვირაობით და ტელევიზიითაც გაშუქდება. იმუშავებს ტოტალიზატორი.

## „ლაგუნა-ვერედან“ – დარდანელის სრუტეში



ამიერიდან გინესის რეკორდების წიგნში კიდევ ერთი საოცრება დაფიქსირდება და იგი დაკავშირებული იქნება ქართული ისტორიკოსის, მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის ჰენრი კუპრაშვილის სახელთან.

ამ დღეებში, როგორც დაგეგმილი იყო, ჰენრი კუპრაშვილმა დარდანელის სრუტე გადასცურა ხელფეხშეკრულმა ე.წ. ძველკოლხური ყაიდით. „ადამიანი-დელფინი“, როგორც მას უწოდებს მთელი მსოფლიო, ამჯერადაც გამარჯვებული გამოვიდა წყლის სამყაროსთან ჭიდილში. დარდანელი მან ნავარაუდევი მანძილი ასევე ნავარაუდევ (3-4 საათი) დროში, კონკრეტულად კი 3 საათსა და 15 წუთში დაფარა.

„ლაგუნა-ვერეს“ კოლექტივი, სადაც გინესის რეკორდსმენმა მომზადება გაიარა, სულითა და გულით ულოცავს ამ დიდ მიღწევას ბატონ ჰენრი კუპრაშვილს. ისინი იმედოვნებენ, რომ ეს მამაცი და შეუპოვარი ადამიანი ახალ ჩანაფიქრსაც რეალობად აქცევს.

## ჰყავს თუ არა პატრონი ჩვენს ქვეყანაში მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას?

### განათლების სამინისტროს წაყრუების პოლიტიკამ ქვეყანაში ნიჰილიზმამდე მიიყვანა ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობა




ახალი საუკუნის მეორე წლის სასწავლო სტარტი შარშანდელისგან დიდად არაფრით განსხვავდება. მხედველობაში გვაქვს მიდგომა, თორემ სასწავლო პირობებით უარესია ვითარება – მიწისძვრით დაზარალებული სკოლები, უხელფასობისგან დემორალიზებული მასწავლებლები, სწავლაზე გულაცრუებული ახალგაზრდობა, გაჭირვებული ოჯახები, რომლებსაც ბავშვებისთვის სახელმძღვანელოები ვერ შეუძენიათ, სწავლაც ხომ უფასო არ არის და ა.შ. და ა.შ.

არცთუ შორეულ წარსულში, ქვეყანაში სწავლა-აღზრდის ყველა საფეხურს მწყობრი სისტემა განაგებდა, და მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიული აღზრდა გარანტირებული იყო სახელმწიფოს მიერ. მერე ყველაფერი დავანგრიეთ, ძველი ახლით ვერ ჩავანაცვლეთ, ასე აღმოვჩნდით „ღია ცისქვეშ“.

„ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს“! ადრე ღიმილს იწვევდა ეს მოწოდება. თურმე რა ვიცოდით, ერთბაშად სატირლად თუ გაგვიხდებოდა საქმე.

სკოლას ბევრი პრობლემა აქვს. ჩვენ არ დავარღვევთ ტრადიციას და მხოლოდ ფიზიკური აღზრდის საკითხს შევეხებით. რაღა ჩემი თქმა უნდა მკითხველს, მაგრამ მაინც ვიტყვი: იმ ნანგრევების ქვეშ ფიზიკური აღზრდის აპრობირებული სისტემაც მოჰყვა. საკვირველი მაინც ის რჩება, რატომ იფიქრეს, რომ ფიზიკური აღზრდა საბჭოთა იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი და თავიდან იყო მოსაშორებელი. თუმცა, არა გვგონია მხოლოდ, ასე იყო საქმე – უბრალოდ ყველაფერი მოისრა და ფიზიკური აღზრდაც ზედ მიაყოლეს. ისე, თუ ნგრევა სკოლასაც შეეხო, რაღა ფიზაღზრდა მო-

(იხ. მე-2 გვ.)

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ჯერ არ დაბადებულა და...




ჩოგბურთელ ანდრე აგასის ერთგული გულშემატკივრები მისი მეუღლე შტეფი გრაფი და პატარა ვაჟიშვილი ჯეიდენი არიან. ორივე მათგანი ანდრეს ყველა მატჩს ესწრება.

ამას წინათ, აგასიმ სანაძლეო დაუდო მის ერთ-ერთ უმთავრეს მოწინააღმდეგეს — პიტ სამპრასს... საქმე ის არის, რომ სამპრასის მეუღლე ბრიჯეტ უილსონი უახლოეს ხანში ბავშვს ელოდება. აგასი კი ახლავე აცხადებს: „დარწმუნებული ვარ, რომ თუ პიტს ბიჭი ეყოლა, ჯეიდენი აუცილებლად მოუგებს მას კორტზე. მაგრამ თუ გოგო დაიბადა, 100 დოლარს ვდებ, რომ მათ ერთმანეთი უგონოდ ეყვარებათ...“



უელში

## უელშმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა

მოცურავეთა ავსტრალიის ჩემპიონატზე 50 მეტრ დისტანციაზე გამართულ შეჯიბრებაში 25 მეტრიან აუზებისთვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა მეც უელშმა, რომელმაც ეს დისტანცია გულაღმა ცურვაში 23,31 წამში დაფარა.

წინა რეკორდი ეკუთვნოდა ამერიკელ ნეილომ უოქერს, რომელმაც მიმდინარე წლის 16 მარტს, ათენში 23,42 წამი აჩვენა.

საინტერესოა, რომ უელშს, ამას წინათ, ბრიტანეთის თანამეგობრობის ტურნირზე ფალსტარტის გამო დისკვალიფიკაცია მისცეს, ასეთივე სასჯელი გამოუტანეს წინა კვირაში გამართულ იოკოჰამას ტურნირზე.

„როგორც იქნა, ამჯერად დისკვალიფიკაცია აღარ მომცეს. ბედნიერება მაშინ ვიგრძენი, როცა ფინიშთან მისვლის შემდეგ ელექტროტაბლოს შევხედე“ — განაცხადა უელშმა.

## მოსკოვში 5 ათასი ირლანდიელი ჩავა

### „ქართველებზე ბევრს არ ვილაპარაკებ. ქართულ ფეხბურთს ძალიან კარგად ვიცნობ“- აცხადებს ვალერი გაზაევი




ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს რუსეთისა და ირლანდიის ნაკრებთა შორის, 5 ათასამდე ირლანდიელი გულშემატკივარი დაესწრება.

გულშემატკივართა იმედზეა რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც. ვალერი გაზაევმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „შვედეთის ნაკრებთან მატჩში გულშემატკივარი ჩვენი გუნდის მეთორმეტე მოთამაშე იყო. ვიმედოვნებთ, რომ 7 სექტემბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ დარჩება“.

ვალერი გაზაევი ჯგუფში მთავარ კონკურენტად სწორედ ირლანდიის ნაკრებს მიიჩნევს. ხოლო საქართველოს ნაკრებზე, აი, რა განაცხადა: „ქართველებზე ბევრს არ ვილაპარაკებ. ქართულ ფეხბურთს ძალიან კარგად ვიცნობ“.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 11 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 5 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

# რომის პაპმა მსოფლიოს მშვიდობისაკენ მოუწოდა და ყველას ოლიმპიური იდეალები შეახსენა



რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ მსოფლიოს ხალხებს მოუწოდა, მშვიდობა დაამყარონ 2004 წელს, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის დროს. მან შეახსენა ყველას, რომ ძველ საბერძნეთშიც კი ყოველგვარი ომიანობა წყდებოდა. ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიებების მოახლოებისას და მიმდინარეობისას. „ვიმედოვნებ, რომ დღევანდელ უმძიმეს ვითარებაში სპორტი გააერთიანებს მსოფლიოს ყველა ხალხებს", – განაცხადა იოანე პავლე მეორემ.

# სოკ-ი ოლიმპიურ შეჯიბრებათა რაოდენობას ზღუდავს?

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი განიხილავს მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში რადიკალური ცვლილებების შესაძლებლობას. ოლიმპიური სახეობებიდან ამორიცხვის საშიშროების წინაშე დგას სპორტის რამდენიმე სახეობა.

მაგალითად, ვარაუდობენ, რომ პეკინში 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, პროგრამიდან სპორტის სამი სახეობა შეიძლება ამოვარდეს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რომელ სახეობას ემუქრება ეს საფრთხე. ერთი რამ ნათელია, სოკ-ის ასეთი ნაბიჯი შესაბამისი სახეობების ფედერაციებთან მძაფრ დებატებს გამოიწვევს. სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი აცხადებს, რომ ამ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იმსჯელებენ მიმდინარე წლის ნოემბერში მეხიკოში და 2003 წლის დასაწყისში პრაღაში დანიშნულ სხდომებზე.

# ლაგოდეხელებს ველოსპორტი გაახსენეს



აგვისტოს ბოლო დღეებში ლაგოდეხმა ველოსიპედისტთა ასპარეზობას უმასპინძლა. იყო დრო, კახეთის ამ რაიონის წარმომადგენლები დიდ წარმატებებს აღწევდნენ როგორც საქართველოს, ისე საკავშირო შეჯიბრებებში.

ამჯერად, შეჯიბრების ორგანიზატორებმა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გივი ყავლაშვილის სახელობის პრიზის გათამაშებაში უხმეს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილ საგზატკეცილო ველოსპორტის მოყვარულებს.

ასპარეზობის პირველ დღეს 15 კმ-ზე ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა ლაგოდეხელმა რამაზ მანაგაძემ, მეორე იყო გიორგი ნადირაძე, მესამე – ბაჩანა გიორგაძე (ორივე – თბილისი). შეჯიბრების მეორე დღეს სტარტზე დადგნენ 60 კმ-ზე ჯგუფური რბოლის მონაწილენი. აქაც რამაზ მანაგაძემ არავის დაუთმო პირველობა, მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად კვლავ თბილისელები აჩიკო მახარაშვილი და გიორგი ნადირაძე გავიდნენ.

შეჯიბრება მესამე დღეს დასრულდა 16 კმ-ზე კრიტერიუმით. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. რამაზ მანაგაძე, 2. გიორგი ნადირაძე, 3. ილო წაქაძე (ქუთაისი).

რაღა თქმა უნდა, სამი დღის შედეგებით მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა რამაზ მანაგაძე და მთავარი პრიზიც მას ხვდა წილად. მეორე იყო გიორგი ნადირაძე, მესამე – აჩიკო მახარაშვილი.

„ასპარეზობა, მიუხედავად სამდღიანი გადაუღებელი წვიმისა, მაინც გაიმართა. საერთოდ, საგზატკეცილო ველოსპორტი ამინდს არასდროს ეპუება და ჩვენც ეს წესი დავიცავით. ეჭვი არ არის, რომ ასეთი შეჯიბრებები კარგ სამსახურს გაუწევს ველოსპორტის პროპაგანდას. ლაგოდეხი კი ნელ-ნელა იბრუნებს ტრადიციებს" – უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, სპორტის ოსტატმა გოჩა გველესიანმა.

**ავთანდილ გუნთაძე**

**კომპიუტერული ფირმა Soft Master-ი**
**გთავაზობთ:**
● კომპიუტერული კურსები (სწავლება ინდივიდუალურად) ● **კომპიუტერული ბუღალტერია** ● ბუღალტერია (ბ.ა.ფ.-ის სტანდარტებით) ● კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები.
მისამართი: ჭოველიძის (ბელინსკის) ქ. №2 IV სართ. ტელ. 99-81-71.

# ჰყავს თუ არა პატრონი ჩვენს ქვეყანაში მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას?

*(პირველი გვერდიდან)*

იყოლა ნანგრევებში. თუ ასე არ არის, რით უნდა გავამართლოთ ის, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, საერთოდ, გაქრა ბევრი სკოლის გაკვეთილის ცხრილიდან, მაშინ, როცა სხვა საგნებს ასეთი შევიწროება არ განუცდია?... სკოლამდელ დაწესებულებებზე აღარაფერს ვამბობთ. არა გვგონია, ვინმეს ენა მოუბრუნდეს და ამტკიცოს, რომ სულიერი და ფიზიკური აღზრდის ერთიანობა „კომუნისტური გადმონაშთია". ჯერ კიდევ სად იყვნენ კომუნისტები, როცა კაცობრიობის უდიდესი განმანათლებლები, მანამდე კი ფილოსოფოსები ადამიანის ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიული აღზრდა-განვითარების მნიშვნელობაზე მიანიშნებდნენ!

ახლა დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი განათლების სისტემაში 60 მილიონიან კრედიტთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ ქვეყანაში განათლების რეფორმას მოხმარდება ეს სოლიდური თანხა. თუმცა ბევრს ამაში ეჭვი ეპარება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მუშაკები ისედაც არ იყვნენ განწყობილნი ოპტიმისტურად – საჯაროდ არსად არაფერი თქმულა რეფორმის გზით სასკოლო ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების პერსპექტივაზე.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება და ეს წლობითაა განმტკიცებული, რომ ფიზიკური აღზრდისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ჩვენი განათლების სამინისტროდან იღებს სათავეს. მათ მიერ დანერგილი წაყრუების პოლიტიკამ ხელ-ფეხი გაუხსნა სკოლის დირექტორებს და, ერთ-ერთ პირველ კი არა, მეათე ხარისხოვან საგნადაც აღარ მოიხსენიება ფიზიკური აღზრდა. არადა, იმავე სამინისტრომ ამ 22-25 წლის წინათ საგანგებო ბრძანება გამოსცა, რითაც ფიზიკური აღზრდა სასკოლო დაწესებულებებში გამოაცხადა პირველხარისხოვან ამოცანად და მთელ პროცესზე პასუხისმგებლობა დაავალა სკოლების დირექტორებს. დანამდვილებით ვიცით, ეს ბრძანება არავის შეუცვლია, ისევ ძალაშია იურიდიულად, მაგრამ დღეს ფეხქვეშაა გათელილი განათლების სამინისტროს ახლანდელი ხელმძღვანელების მიერ ისევე, როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზაღზრდის სპეციალისტების აყვანისა და დაწყებით კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილების სპეციალისტებისთვის გადაცემის იმდროინდელი ბრძანება.

თვალყურს ვადევნებთ და არ შეიძლება არ მივესალმოთ თბილისის მერიის განათლების განყოფილების აქტიურ მცდელობას მოაწესრიგოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის პრობლემები. იგივე ითქმის დედაქალაქის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებზე.

სამწუხაროდ, მოიშალა ბავშვთა სპორტის სისტემაც. ერთხანს თითქოს მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბავშვთა სპორტი ქვეყანაში სპორტის ერთიან სისტემაში მოქცეულიყო, რითაც ბოლო მოეღებოდა უწყებრიობას და დაქსაქსულობას, მაგრამ საკითხი ვერ გადაწყდა, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით მაინც. სადღაც, ალბათ, პირადი ინტერესები დადგა უფრო მაღლა.

წერილს ისე ვერ დავასრულებთ, უმაღლეს სასწავლებლებში თავჩენილ პრობლემებსაც რომ არ შევეხოთ. ვერავინ იტყვის, რომ იქაც უკეთ იყოს საქმე, ვიდრე ადრე, საბჭოთა პერიოდში, მაგრამ კატასტროფააო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. ტრადიციებს მაინც თავისი გააქვს და მთლად ხელმიშვებული არ არის სასწავლო თუ სპორტული მუშაობის პროცესი. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით არასახელმწიფო ე.წ. კერძო თუ კომერციულ ინსტიტუტ-აკადემიებად წოდებულ ესოდენ მომრავლებულ უმაღლეს სკოლებზე. აბა, იქ არის თუ არის განუკითხაობა. ასეთ უმაღლეს სასწავლებელს არავინ მისცემს ფუნქციონირების უფლებას, ანუ ლიცენზიას თუ საქმიანობის სფეროში შეტანილი არ არის ფიზიკური აღზრდის პროგრამა და დადასტურებული არ იქნება, რომ გააჩნია შესაბამისი სპორტული ბაზა. შეაქვთ, მაგრამ ფიქტიურად, ვინც ლიცენზიას აძლევს, თავს არ იწუხებს გადაამოწმოს თუ როგორ ასრულებს ეს „უმაღლესი" ნაკისრ ვალდებულებებს. რატომ? აბა, ეს რა საკითხავია, კორუფციაში ყელამდე ჩაფლულ ქვეყანაში!

პარალელი: ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ მოქმედებდა წესი, რომელიც ყველა უმაღლეს სასწავლებელს ავალდებულებდა მისაღები გამოცდების საგნებს შორის შეეტანა ჩათვლა ფიზიკურ მომზადებაში და აბიტურიენტებიც მომზადებული მიდიოდნენ გამოცდებზე. რაც მთავარია, ამ წესმა უსაზღვროდ აამაღლა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისა და ამ საგნის მასწავლებლის ავტორიტეტი სკოლაში. საბოლოო ჯამში კი ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდა ფიზიკურად სრულყოფილი თაობა, სამხედრო სამსახურისთვისაც რომ კარგად იყო მომზადებული. მერედა, ვისი სამსახურისთვის, – იტყვის, ალბათ, მავანი.

დღეს ხომ საკუთარ სამშობლოს, მის მიწა-წყალს სჭირდება დაცვა. იმის შემხედვარეს, რაც ირგვლივ ხდება, აქვს კი ვინმეს მორალური უფლება წარსულს დასდოს ბრალი?

და მაინც, გუშინ სასკოლო ზარებმა ჩამოჰკრეს, აუდიტორიებში მერხებს მიუსხდნენ სტუდენტები. დაიწყეს, როგორც იტყვიან, ცოდნისთვის საყოველთაო-სახალხო ლაშქრობა, მაგრამ რა ადგილი უკავია ფიზიკურ აღზრდა-მომზადებას სასწავლო პროგრამაში?

საკითხავი აი, ეს არის!

**მიმომხილველი**

# მიხეილ (მიკა) კვინიხიძის გახსენება

დაიბადა თბილისში, ცნობილი სპორტული მოღვაწის ბორის კვინიხიძის ოჯახში. 57-ე სკოლის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისწავლა, გახდა ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის სპეციალისტი. ინსტიტუტში დაეუფლა რაგბის თამაშს მწვრთნელ ოთარ დოლონაძესთან, მალე დაოსტატდა. ინსტიტუტის ნაკრებთან ერთად არაერთ წარმატებას მიაღწია თბილისის თუ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვა შეჯიბრებებში. 1964 წელს სპი-ს ბაზაზე ჩამოყალიბდა „დინამო". მიხეილ კვინიხიძე ახლა ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. წლების განმავლობაში სწორედ ამ გუნდთან ერთად იზიარებდა წარმატებების სიხარულს სხვადასხვა ტურნირებში. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო უწყებრივი პირველობების გამარჯვებული. თბილისის „დინამომ" საბჭოთა კავშირის არაოფიციალურ ჩემპიონატში 1966 წელს მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

1969 წლიდან „ლოკომოტივშია" მწვრთნელ ნოდარ ყიფიანთან. ეს გუნდი 1966-90 წლებში სსრ კავშირის ჩემპიონატების უცვლელი მონაწილე იყო, მიკამ 5 წელი ითამაშა ამ უძლიერეს გუნდში და თავისი წვლილი შეიტანა მის წარმატებებში, ამ კოლექტივში თავმოყრილ „ვარსკვლავებთან" ერთად. ესენი იყვნენ ზურაბ (ვობლა), ზაურ მგელაძე, გელა მიქაბერიძე, გოგი ტონია, თენგიზ რუხაძე, ნოდარ ყიფიანი, გია ჯაფარიძე, მურად გეგეშიძე, ვალერი კორნეევი, დათო ჩუბინიშვილი, სერგო ხაჟაპურიძე, დათო დავითაია, ვახტანგ ფეტვიაშვილი და სხვები. სამწუხაროა, რომ მაშინ უცხოეთში გასვლა შეზღუდული იყო, თორემ ეს ბიჭები (ლომები) ნამდვილ სასწაულებს მოახდენდნენ.

1968 წელს ჩვენი რკინიგზელები



*ამ სამეული თანაგუნდელებიდან, სამწუხაროდ აღარცეთი არ არის ცოცხალი – მარცხნიდან შევაზ კოდუა, ნუგზარ ენედალაძე და მიხეილ (მიკა) კვინიხიძე.*

ჯერ საქართველოს ჩემპიონები, შემდეგ უკვე სსრ კავშირის პირველი ოფიციალური ასპარეზობის „ბრინჯაოს" პრიზიორები არიან. მერე მიკა, ამ გუნდთან ერთად „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონიც გახდა. იმავე 1968 წლიდან სსრ კავშირის 30 საუკეთესო მორაგბის სიაც ქვეყნდებოდა. რჩეულთა შორის მიკა პირველსავე სიაში მოხვდა, მერე ეს აღიარება მომდევნო წლებში გრძელდებოდა.

სპორტის ოსტატი მიხეილ კვინიხიძე უდავოდ დიდი მობურთალი იყო. იგი უბადლო იყო მეგობრობაშიც. მის შესახებ ბევრ სამაგალითო და ვაჟკაცურ ეპიზოდს იგონებენ თანაგუნდელები, განსაკუთრებით თენგიზ რუხაძე და რომეო ლვინიაშვილი.

დღეს მიხეილ კვინიხიძის სპორტულ ტრადიციებს აგრძელებს მისი ვაჟი ბორის (ბობა) კვინიხიძე – საქართველოს ნაკრებისა და „ლოკომოტივის" წამყვანი მორაგბე, ამჟამად საფრანგეთის „კასტრის" წევრი. ბობა 2000 წელს ერთდროულად საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონი და ორგზის სპორტის ოსტატი გახდა, – ორივე შემთხვევა უნიკალურია.

1 სექტემბერს მიხეილ (მიკა) კვინიხიძე 60 წლისა გახდებოდა...

**გურამ (ცეზარ) დარჩია,**
*სპორტის ოსტატი, ვეტერანი მორაგბე.*



# ნაკრები გერმანიაშია და შვეიცარიაზე ფიქრობს

**ქართული ფეხბურთის წარმომადგენლობითი დელეგაცია მეოთხე დღეა შუაგულ ევროპაშია.**

ადრეულად დადგენილი გეგმის მიხედვით ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები რუიტის საწვრთნელ ბაზას ეწვივნენ და კომფორტულ პირობებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასაწყისისთვის ემზადებიან. თურქებთან გამართული ამხანაგური მატჩების შემდეგ ორივე გუნდში უმნიშვნელო ცვლილებებია. ეროვნულ ნაკრებში ჩივაძემ სკონტოელ ალექსანდრე რეხვიაშვილს და ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს მოუხმო. ორივე ფეხბურთელმა ტრავმა ახლახან მოიშუშა, თუმცა იაშვილის თამაში სათუოა. ახალგაზრდულს კი მხოლოდ დინამოელი ბობოხიძე აკლია.

ეროვნული გუნდი ხვალ შეივსება, როდესაც ევროპაში ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურები დასრულდება, ნაკრებებს ლეგიონერებიც შეუერთდებიან. შვეიცარიელებთან საპაექროდ ჩვენებურებს მომზადებისთვის მთელი ერთი კვირა ექნებათ.

7 სექტემბერს ჩვენი ეროვნული ნაკრები ავტობუსით ბაზელში გადავა, იქაური არენის მინდორსაც მოსინჯავს და 8 სექტემბერს, 16 საათზე წმინდა იაკობის სტადიონზე მასპინძლებს შეერკინებიან. მატჩს სლოვაკი მსაჯები გაუძღვებიან. ერთი დღით ადრე 7 სექტემბერს ბაზელიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ქალაქ გრეხენში ახალგაზრდული ნაკრები თანატოლებს დაუპირისპირდება. ამ მატჩს პორტუგალიელი მსაჯები მოემსახურებიან.



## ეროვნული ნაკრები

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით გვარამაძე (დინამო თბ);

*მცველები:* კაი კალაძე (მილანი, იტალია), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), ედიკ საჯაია (ტორპედო, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი (ორივე — დინამო თბ); ***ნახევარმცველები:*** ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია), გოჩა ჯამარაული (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), მიხეილ ყაველაშვილი (ლუცერნი, შვეიცარია), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), ლადო ბურდული (დინამო თბ), მამია ჯიქია (ამიცა, პოლონეთი);

*თავდამსხმელები:* შოთა არველაძე (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი).

## ახალგაზრდული ნაკრები



*მეკარეები:* ზურაბ მამალაძე (მილანი), მანუჩარ ივარდავა (ლოკომოტივი); ***მცველები:*** ალეკო ამისულაშვილი, ილია კანდელაკი, სანდრო ჩივაძე (სამივე — დინამო თბ), ლაშა სალუქვაძე, სერგო ორბელაძე (ორივე — ლოკომოტივი), დავით ზაზაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი (ორივე — ვიტ ჯორჯია), რამაზ სვანაძე (კოლხეთი); ***ნახევარმცველები:*** მალხაზ ასათიანი (ტორპედო), გიორგი დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია), თენგიზ უგრეხელიძე (ტორპედო მაზ, ბელარუსი), დავით სირაძე (ლოკომოტივი), ირაკლი შენგელია (მერანი); ***თავდამსხმელები:*** გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), რომან ახალკაცი (ტორპედო), ლადო ახალაია (დინამო).

## რუსებმა შიკრიკები ფეხბურთშიც შემოგვიგზავნეს

საევროპო სანაკრებო პირველი ოფიციალური მატჩების ვნებათაღელვა განელებული არ იქნება, რომ თბილისს რუსეთის ნაკრების ორი მენეჯერი ვიქტორ კოტოლოვსკი და ვიქტორ ზიაჩენკო ეწვევიან. რუსებთან მატჩამდე თვეზე მეტია დარჩენილი, მაგრამ ჩვენი მეზობლები ნაკრებების განთავსების აქაურ პირობებს წინდაწინვე გაეცნობიან.

რუსთა ვიზიტი 10 სექტემბრისთვისაა გათვალისწინებული.

# სტუმარიც ამას ჰქვია

## V ტურის მიმოხილვა

**საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

ერთობ დამაინტრიგებელი გამოდგა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტური. თხუთმეტი შესაძლებლიდან მასპინძლებმა მხოლოდ სამი ქულის აღება შეძლეს. თუ „ტორპედოს" გამარჯვება ზესტაფონში არავის გაკვირვებია, სხვა შეხვედრათა შედეგები ადვილი გამოსაცნობი არ იყო. თუმცა, გარკვეულწილად, ფავორიტებმა სამ-სამი ქულა მაინც ჩაიწერეს აქტივში.

ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა თბილისის „მერანმა". ავჭალელებმა ჩილვინიძისა და მეკარე ნაჭყეპიას კარგი თამაშის წყალობით გორელებს შანსი არ დაუტოვეს და ალალი სამი ქულა მიითვალეს.

უშედავათო ორთაბრძოლა გაიმართა გურჯაანში. ჩვენებურ „მილანს" შინ გამარჯვება კი სურდა, მაგრამ სტუმრებისაგან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. „სიონმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გამართული გუნდია და გათამაშების ცხრილში მეოთხე ადგილზე შემთხვევით არ იმყოფება.

ოდესღაც ძლიერმა, მუდმივად ფავორიტთა რიგებში მდგომმა ბათუმის „დინამომ", ამჯერადაც ვერ გაიხარა. ზღვისპირელებს თბილისელ სტუმრებთან პაექრობამ საზრუნავ-საფიქრალი კიდევ უფრო მოუმატა. ვიტელებს, რაც ჩემპიონატი დაიწყო, თუ არ ჩავთვლით „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს", გამარჯვება არავისთან გასჭირვებია, ახლაც ერეკლე მერებაშვილის გოლიც საკმარისი გამოდგა კარნევალეს ბიჭების უპირატესობის დასამტკიცებლად.

მასპინძელთაგან ერთადერთმა ფოთის „კოლხეთმა" მოიგო საშინაო მატჩი. ფოთშიც, თავდაპირველად უფრო აქტიურები სტუმრები იყვნენ, მაგრამ უიღბლობამ დარია ხელი „გორდას". რუსთაველთა ნახევარსაათიანმა შეუპოვრობამ ვერაფერი მოუტანა სტუმრებს, მერე გოლიც გაუშვა „გორდამ", ამას მატჩის მსვლელობისას ორი ფეხბურთელის გაძევებაც დაერთო და „კოლხეთმა" წლევანდელ სეზონში პირველი ნაღდი სამი ქულა მოიპოვა, თანაც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა.

ამრიგად, ტურის ხუთი მატჩიდან სტუმრებმა მასპინძლებს ოთხი მოუგეს, გაუტანეს შვიდი და გაუშვეს ხუთი გოლი. კიდევ ერთი მატჩი, რომელიც ტურში უმთავრესი იქნებოდა, გადაიდო.

ახლა პირველობას ერთპიროვნულად ქუთაისის „ტორპედო" ლიდერობს, თუმცა ჩემპიონის მთავარ მდევრებს თბილისურ კლუბებს, „დინამოსა" და „ლოკომოტივს", შესაბამისად ერთი და ორი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

მეხუთე ტურის შემდეგ ჩემპიონატში თითქმის ათდღიანი შესვენება გამოცხადდა. ეს კვირა სანაკრებო მატჩებისაა. ევროპა კონტინენტური ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს დაიწყებს. ჩვენც, 7-8 სექტემბერს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა საქომაგოდ განვეწყობით. ეროვნული ჩემპიონატის მორიგი, მეექვსე ტურის მატჩები კი კალენდრის შესაბამისად, 10-11 სექტემბერს გაიმართება.



## V ტურის სტატისტიკა

30 აგვისტო. გორი. ცენტრ. სტადიონი. 1500 მაყურებელი

**დილა (გორი) – მერანი (თბილისი) 1-2**

*დილა:* სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, გ. რევაზიშვილი (ჯობაძე 46), დავითნიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი (მ. ძოძუაშვილი 56), ხორგუაშვილი, ა. ხმალაძე, ლ. გოჩაშვილი (ბ. ჩიტაია 77)

*მერანი:* ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ხიზანიშვილი, ჩილვინიძე (ქადაგიძე 64), გ. ილურიძე, მესხი, ბაჯელიძე (გრიგორიევი 68), კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ბ. ნოზაძე 88), ი. შენგელია, ჰინჰარაული.

*გოლები:* 0-1, 0-2 ჩილვინიძე (40, 49), 1-2 ხმალაძე (50)

*გააფრთხილეს:* შენგელია (26)

*მსაჯები:* ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. შილაკაძე (ყველა — თბილისი)

*ინსპექტორი:* ა. მილჩენკო.

30 აგვისტო. გურჯაანი. დავით ყიფიანის სახელობის სტადიონი. 2000 მაყურებელი.

**მილანი (წნორი) – სიონი (ბოლნისი) 1-2**

*მილანი:* მამალაძე, ქარჩავა, ტარუღაშვილი, აკობია, ჯაბუა, მეტონიძე (ეგაძე 20), ვართაგავა (ქარდავა 56), მ. სამხარაძე, ჰალიაშვილი (ლამბაშიძე 79), ბარამიძე, გაბედავა.

*სიონი:* ვოლკოვი, გ. ჩხაიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ბაქრაძე, სიდამონიძე, კაციაშვილი, ისიანი (შავგულიძე 46), გაბისკირია, დაუშვილი (დ. გოდერძიშვილი 31), კვეკვესკირი, კრავეიშვილი (გოგიტაძე 78).

*გოლები:* 1-0 სამხარაძე (7), 1-1 კრავეიშვილი (50), 1-2 გოდერძიშვილი (60).

*გააფრთხილეს:* ცქიფურიშვილი (22), კვეკვესკირი (85)

*მსაჯები:* ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე — თბილისი), ა. ორდინიძე (ონი)

*ინსპექტორი:* ო. გუნთაძე.

30 აგვისტო. ზესტაფონი. ცენტრ. სტადიონი. 2000 მაყურებელი

**მეტალურგი (ზესტაფონი) – ტორპედო (ქუთაისი) 0-2**

*მეტალურგი:* ა. ლაბაძე, ორმოცაძე, შეყილაძე, მაღლაკელიძე, კობაიძე, სულაკაძე, ი. ხაჭაპურიძე, ვაჩიბერაძე (ფოფხაძე 76), სუხიაშვილი, მემარნიშვილი, მ. ლონლაძე (ენდელაძე 69)

*ტორპედო:* ჰანტურია, ლ. ჰელიძე, დიდავა, ხვადაგიანი (მახვილაძე 12), ბაბუნაშვილი, ქემოკლიძე, გუჩუა, ახალკაცი (კვეტენაძე 46), იონანიძე, ასათიანი, ზირაქიშვილი (პოროშინი 81)

*გოლები:* 0-1 ასათიანი (56), 0-2 იონანიძე (81)

*გააფრთხილეს:* ორმოცაძე (66), იონანიძე (78)

*მსაჯები:* მ. მალალურაძე, ლ. სილაგავა, კ. თბილელი (სამივე — თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

*ინსპექტორი:* შ. ხინჩაგაშვილი

30 აგვისტო. ბათუმი. სტადიონი „დინამო". 1500 მაყურებელი.

**დინამო (ბათუმი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი 0-1**

*დინამო:* ტოგონიძე, მინდაძე, მახარაძე, თურმანიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, რომანაძე, დარჩიძე, ტუღუში, ბექანიძე, მაჭუტაძე.

*ვიტ ჯორჯია:* მერლანი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (გველესიანი 44), დ. ბოლქვაძე (ე. მერებაშვილი 30), მუჯირი, დიღმელაშვილი, ნოზაძე, დ. დოლიძე, თედორაძე (გოჩაშვილი 61), ადამია, მელქაძე.

*გოლი:* ე. მერებაშვილი (61).

*გააფრთხილეს:* რომანაძე (51), მინდაძე (56)

*მსაჯები:* კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე — სამტრედია), პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

*ინსპექტორი:* გ. სორდია.

30 აგვისტო. ფოთი. სტადიონი „ფაზისი". 500 მაყურებელი

**კოლხეთი (ფოთი) – გორდა (რუსთავი) 3-0**

*კოლხეთი:* ჩემია, ნარსია, სვანაძე, მ. ქობულაძე, ფანჩულიძე, შ. ლონლაძე, გაბიდაური, გაგუა (კრასოვსკი 74), ე. გვასალია (ქუტიძე 84), კვერნაძე (გურგენიძე 77), გონჩაროვი.

*გორდა:* ბედიაშვილი, ლურსმანაშვილი, ბერიძე, სილაგაძე, ზაზაშვილი, ზვ. ლაბაძე, ჩოხელი (ზ. ლაბაძე 58), თ. მეტრეველი (არსოშვილი 46), გ. კილასონია, ალადაშვილი, გოცირიძე (ჯელაძე 72)

*გოლები:* 1-0 გვასალია (39), 2-0 გონჩაროვი (44 პ), 3-0 კრასოვსკი (77).

*გააფრთხილეს:* გვასალია (45)

*გააძევეს:* ბერიძე (44), ზაზაშვილი (82)

*მსაჯები:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი), გ. ცირდავა (გულრიფში), ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

*ინსპექტორი:* ა. დურსუნიში.

**დინამო (თბილისი) – ლოკომოტივი (თბილისი) გადაიდო**

**ბომბარდირები:**

4 — მელქაძე (ვიტ ჯორჯია)

3-3 — გოდერძიშვილი (სიონი), იონანიძე (ტორპედო)

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 5 | 4 | 1 | 0 | 6-0 | 13 |
| **დინამო (თბ)** | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| **ვიტ ჯორჯია** | 5 | 3 | 1 | 1 | 7-2 | 10 |
| **სიონი** | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| **ლოკომოტ.** | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| **კოლხ.-1913** | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| **მერანი** | 5 | 2 | 0 | 3 | 4-8 | 6 |
| **მეტალურგი** | 3 | 2 | 0 | 3 | 3-8 | 6 |
| **გორდა** | 5 | 1 | 0 | 4 | 2-9 | 3 |
| **დილა** | 5 | 1 | 0 | 4 | 2-9 | 3 |
| **დინამო (ბთ)** | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |
| **მილანი** | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

**შენიშვნა: მერანს, მეტალურგს. მილანსა და გორდას I ტურში ჩავთვალით წაგება.**

# „დინამო" „მილანის" გზას გაუყვა

**ქართული კლუბებიდან ევრო სეზონს მხოლოდ თბილისის „დინამო" აგრძელებს.** უეფას თასის პირველ ეტაპზე ჩვენს ათგზის ჩემპიონს ბედმა ჩეხეთის შარშანდელი ჩემპიონი „სლოვანი" შეახვედრა. ისევ ჩეხეთი! შუაევროპელ სლავთა ძალა წლეულს, ერთხელ უკვე გამოსცადა ჩვენმა გუნდმა — ქუთაისის „ტორპედო" ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაუსხლტა პრაღის „სპარტას" — ჩეხეთის ჩემპიონატში „დინამოს" მომავალი მეტოქის უმთავრეს მოქიშპეს. „სლოვანი" თბილისელთა წინა მეტოქეზე, ტალინის ტვმკ-ზე გაცილებით ძლიერია, დასტურად ჩეხების ტოლსწორად, იტალიურ „მილანთან". პაექრობაც გამოდგება. „მილანს" ძალიან გაუჭირდა სლავების ძლევა, განსაკუთრებით კი გასვლით მატჩში სასურველი შედე-

(იხ. მე-4 გვ.)

UEFA JEFA CUP

# „დინამო" „მილანის" გზას გაუყვა

*(მესამე გვერდიდან)*

გის შენარჩუნება. იტალიელები მხოლოდ სტუმრად გატანილი, ინძაგის გოლით გავიდნენ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში. ლიბერეცის საფეხბურთო კლუბი ჩვენებურ „დინამოზე" გაცილებით ახალგაზრდაა (დაარსდა 1958 წელს) და სახელითა და ტიტულებითაც ჩამორჩება ქართულ გუნდს. ერთი ოქრო და თასი — ასეთია „სლოვანის" საკლუბო მონაგარი. ვერც ევრო გამოცდილებით გაგვაკვირვებს სლოვანი, თუმცა მეტოქის მწირი მიღწევები დამშვიდების უფლებას, ნამდვილად არ აძლევს შუშაკის შეგირდებს. მეტოქე საკმაოდ მობილური, ფეხბურთის მცოდნე გუნდია და განსაკუთრებით საშიში და უდრეკი საკუთარ სტადიონზე. თითქმის, სრულად გამართულ მოწინააღმდეგეს ჩვენი მხრიდან, ასევე გამართული, ფრთხილი, თუმცა, არა მხოლოდ საკუთარ საჯარიმოში — „ჩამჯდარი" თამაში უნდა დავუპირისპიროთ. და იმას, თუ რომელი აჯობებს ორრაუნდიან პაექრობაში, პირველივე მატჩი წარმოაჩენს. 19 სექტემბერს „დინამო" სტუმრად ითამაშებს, 3 ოქტომბერს კი ეროვნულზე უმასპინძლებს ჩეხებს.

## უეფას თასი 2002-2003

### პირველი ეტაპი

ლიბერეცი (ჩეხეთი) – დინამო (საქართველო)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — უიპეშტი (უნგრეთი)
სპორტინგი (პორტუგალია — პარტიზანი (იუგოსლავია)
ლეგია (პოლონეთი) — უტრეხტი (ჰოლანდია)
ბეტისი (ესპანეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა)
სარაევო (ბოსნია) — ბეშიქთაში (თურქეთი)
ცსკა (რუსეთი) — პარმა (იტალია)
ლევსკი (ბულგარეთი) — ბრონდბიუ (დანია)
ანდერლეხტი (ბელგია) — სტაბეკი (ნორვეგია)
ნაციონალი (რუმინეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია)
ლაციო (იტალია) — ქსანთი (საბერძნეთი)
აბერდინი (შოტლანდია) — ჰერტა (გერმანია)
იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) — სარტიდი (იუგოსლავია)
მაკაბი (თელავივი, ისრაელი) — ბოავიშტა (პორტუგალია)
აიკ (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი)
სპარტა (ჩეხეთი) — შიროკი ბრიაგი (ბოსნია)
აუსტრია (ავსტრია) — შახტარი (უკრაინა)
დენიზლისფორი (თურქეთი) — ლორიანი (საფრანგეთი)
ჩელსი (ინგლისი) — ვიკინგი (ნორვეგია)
ჰაპოელი (თელავივი, ისრაელი) — კერნტენი (ავსტრია)
შტუტგარტი (გერმანია) — ვენტსპილსი (ლატვია)
დინამო (ხორვატია) — ზალაეგერსეგი (უნგრეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — იურგორდენი (შვედეთი)
ჟიჟკოვი (ჩეხეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)
ვიტესი (ჰოლანდია) — რაპიდი (რუმინეთი)
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა)
სერვეტი (შვეიცარია) — ამიცა (პოლონეთი)
შტურმი (ავსტრია) — ლივინგსტონი (შოტლანდია)
ფერენცვაროში (უნგრეთი) — ქოჯაელისფორი (თურქეთი)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — მალაგა (ესპანეთი)
ბორდო (საფრანგეთი) — პუხოვი (სლოვაკეთი)
ლეიქსოეში (პორტუგალია) — პაოკ (საბერძნეთი
ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — კიევო (იტალია)
ჰაიდუკი (ხორვატია) — ფულემი (ინგლისი)
პრიმორიე (სლოვენია) — ვისლა (პოლონეთი)
გრაცერი (ავსტრია) — აპოელი (კვიპროსი)
სელტა (ესპანეთი) — ოდენსე (დანია)
მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) — ვერდერი (გერმანია)
სელტიკი (შოტლანდია) — სუდუვა (ლიტვა)
პორტუ (პორტუგალია) — პოლონია (პოლონეთი)
გომელი (ბელარუსი) — შალკე (გერმანია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ზენიტი (რუსეთი)
ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — ალავესი (ესპანეთი)
ანართოსისი (კვიპროსი) — ირაკლისი (საბერძნეთი)
მიტდტიულანდი (დანია) — ვარტექსი (ხორვატია)
ცსკა (ბულგარეთი) — ბლექბერნ როვერსი (ინგლისი)
სლავია (ჩეხეთი) — მუსკრონი (ბელგია)
ლიტექსი (ბულგარეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

პირველი მატჩები – 19 სექტემბერი, საპასუხოები – 3 ოქტომბერი.

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# საქართველოს 2002-2003 წწ. XIV ჩემპიონატის I ლიგის კალენდარი

## I წრე

***I ტური***
***4 სექტემბერი, ოთხშაბათი***
ლოკო თბილისი — გურია ლანჩხუთი
თსუ თბილისი — ლაზიკა ზუგდიდი
საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები — ალაზანი - მერანი გურჯაანი
ცხინვალი — ქობულეთი
ლოკომოტივი სამტრედია — მერცხალი ოზურგეთი
სამგურალი წყალტუბო — დინამო 2 თბილისი
ივერია ხაშური — მცხეთა
კოლხეთი ხობი — ლოკომოტივი 2 თბილისი.

***II ტური***
***9 სექტემბერი, ორშაბათი***
მცხეთა — კოლხეთი
მერცხალი — სამგურალი
ქობულეთი — ლოკომოტ. ს.
ალაზანი-მერანი — ცხინვალი
ლაზიკა — ჭაბუკთა ნაკრები
ლოკო — თსუ
***10 სექტემბერი, სამშაბათი***
გურია — ლოკომოტივი 2
დინამო2 — ივერია

***III ტური***
***16 სექტემბერი — ორშაბათი***
თსუ — გურია
ჭაბუკთა ნაკრები — ლოკომოტივი
ცხინვალი — ლაზიკა
ლოკომოტივი ს. — ალაზანი-მერანი
სამგურალი — ქობულეთი
ივერია — მერცხალი
კოლხეთი — დინამო 2
ლოკომოტივი 2 — მცხეთა

***IV ტური***
***24 სექტემბერი, სამშაბათი***
გურია — მცხეთა
დინამო 2 — ლოკომოტივი 2
მერცხალი — კოლხეთი
ქობულეთი — ივერია
ალაზანი-მერანი — სამგურალი
ლაზიკა — ლოკომოტივი ს.
ლოკო — ცხინვალი
თსუ — ჭაბუკთა ნაკრები

***V ტური***
***30 სექტემბერი, ორშაბათი***
ჭაბუკთა ნაკრები — გურია
ცხინვალი — თსუ
ლოკომოტივი ს — ლოკო
სამგურალი — ლაზიკა
ივერია — ალაზანი-მერანი
კოლხეთი — ქობულეთი
ლოკომოტივი 2 — მერცხალი
მცხეთა — დინამო 2

***VI ტური***
***6 ოქტომბერი, კვირა***
მერცხალი — მცხეთა
ლაზიკა — ივერია
თსუ — ლოკომოტივი ს.
ჭაბუკთა ნაკრები — ცხინვალი
***7 ოქტომბერი, ორშაბათი***
გურია — დინამო 2
ქობულეთი — ლოკომოტივი 2
ალაზანი-მერანი — კოლხეთი
ლოკო — სამგურალი

***VII ტური***
***13 ოქტომბერი. კვირა***
ცხინვალი — გურია
ლოკომოტივი ს. — ჭაბუკთა ნაკრები
სამგურალი — თსუ
ივერია — ლოკო
კოლხეთი — ლაზიკა
ლოკომოტივი 2 — ალაზანი-მერანი
დინამო 2 — მერცხალი
***14 ოქტომბერი. ორშაბათი***
მცხეთა — ქობულეთი

***VIII ტური***
***18 ოქტომბერი, პარასკევი***
გურია — მერცხალი
ქობულეთი — დინამო 2
ალაზანი-მერანი — მცხეთა
ლაზიკა — ლოკომოტივი 2
ლოკო — კოლხეთი
თსუ — ივერია
ჭაბუკთა ნაკრები — სამგურალი
ცხინვალი — ლოკომოტ. ს.

***IX ტური***
***28 ოქტომბერი, ორშაბათი***
ლოკომოტივი ს. — გურია
სამგურალი — ცხინვალი
ივერია — ჭაბუკთა ნაკრები
კოლხეთი — თსუ
მცხეთა — ლაზიკა
***29 ოქტომბერი. სამშაბათი***
ლოკომოტივი 2 — ლოკო
დინამო 2 — ალაზანი-მერანი
მერცხალი — ქობულეთი

***X ტური***
***2 ნოემბერი, შაბათი***
გურია — ქობულეთი
ალაზანი-მერანი — მერცხალი
ლაზიკა — დინამო 2
ჭაბუკთა ნაკრები — კოლხეთი
ცხინვალი — ივერია
ლოკომოტივი ს. — სამგურალი
***3 ნოემბერი, კვირა***
ლოკო — მცხეთა
თსუ — ლოკომოტივი 2

***XI ტური***
***7 ნოემბერი, ხუთშაბათი***
სამგურალი — გურია
ივერია — ლოკომოტივი ს.
კოლხეთი — ცხინვალი
ლოკომოტივი 2 — ჭაბუკთა ნაკრები
მცხეთა — თსუ
დინამო 2 — ლოკო
მერცხალი — ლაზიკა
ქობულეთი — ალაზანი-მერანი

***XII ტური***
***13 ნოემბერი, ოთხშაბათი***
გურია — ალაზანი-მერანი
ლაზიკა — ქობულეთი
ლოკო — მერცახლი
თსუ — დინამო 2
ჭაბუკთა ნაკრები — მცხეთა
ცხინვალი — ლოკომოტ. 2
ლოკომოტივი ს. — კოლხეთი
სამგურალი — ივერია

***XIII ტური***
***17 ნოემბერი, კვირა***
ივერია — გურია
კოლხეთი — სამგურალი
ლოკომოტივი 2 — ლოკომოტივი ს.
მცხეთა — ცხინვალი
მერცხალი — თსუ
ქობულეთი — ლოკო
ალაზანი — მერანი-ლაზიკა
***18 ნოემბერი, ორშაბათი***
დინამო 2 — ჭაბუკთა ნაკრები

***XIV ტური***
***24 ნოემბერი, კვირა***
გურია — ლაზიკა
ლოკო — ალაზანი-მერანი
თსუ — ქობულეთი
ჭაბუკთა ნაკრები — მერცხალი
ცხინვალი — დინამო 2
ლოკომოტივი. ს. — მცხეთა
სამგურალი — ლოკომოტ. 2
ივერია — კოლხეთი

***XV ტური***
***28 ნოემბერი, ხუთშაბათი***
კოლხეთი — გურია
ლოკომოტივი 2 — ივერია
მცხეთა — სამგურალი
დინამო2 — ლოკომოტივი ს.
მერცხალი — ცხინვალი
ქობულეთი — ჭაბუკთა ნაკრები
ალაზანი-მერანი — თსუ
ლაზიკა — ლოკო.

***შენიშვნა: თსუ და მცხეთა თამაშობს მცხეთის ცენტრალურ სტადიონზე, ლოკო და ლოკომოტივი 2 – ლოკომოტივის სათადარიგო მინდორზე, ჭაბუკთა ნაკრები – ასკ-ს სტადიონზე.***

# დავით ჯვარშეიშვილი არგენტინაში მიდის



**არგენტინაში სტაჟირებაზე ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მიწვევის შესახებ საერთაშორისო ფონდის მიერ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა განცხადებამ მეორე დღესვე ჰპოვა გამოხმაურება. დავით ჯვარშეიშვილი (სურათზე) პირველი მათგანია, ვინც არგენტინაში გაემგზავრება და ეწვევა ახალგაზრდა ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადების ცენტრს.**

დავით ჯვარშეიშვილმა 35-ე საფეხბურთო სკოლაში, მწვრთნელ ოთარ შენგელიასთან დაიწყო ვარჯიში. გოლკიპერად მის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ მწვრთნელს ვეფხვია გვენცაძეს.

2001 წელს დავით ჯვარშეიშვილი მოიწვიეს საქართველოს 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრებში. განსაკუთრებით დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა თამაშმა იმავე წლის ზაფხულის პალანგის ტურნირში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 0-0 დასრულდა. რუსებმა მხოლოდ პენალტების სერიაში გაიმარჯვეს 4-3. ჯვარშეიშვილი ამჟამად კლუბ „თბილისის" წევრია. ეს გუნდი რეგიონალურ ლიგაში ასპარეზობს. ახალგაზრდა მეკარეს მიზნად დაუსახავს არგენტინაში აიმაღლოს კლასი და იქ მიღებული გამოცდილებით დაბრუნდეს საქართველოში.

# არ დაგვენანოთ – „დინამო! დინამო!"



ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ძველი დრო, როცა თბილისის „დინამო" ყოფილ საბჭოთა სივრცეში ბრწყინავდა, ახსოვთ ბევრი ბედნიერი წუთი, ახსოვთ ქართული ფეხბურის ვარსკვლავების გაბრწყინება. აბა რა დაგვავიწყებს 1964 წლის ოქროს შემოდგომას, აბა, რა დაგვავიწყებს 70-იანი წლების „დინამოს" ეპოპეას, რომელიც 1981 წელს ევროპის თასების თასის მოპოვებით დაგვირგვინდა, აბა, რა დაგვავიწყებს „ვესტ ჰემის", „ლივერპულის" და მსოფლიო ფეხბურთის სხვა გრანდებთან დაუვიწყარ შეხვედრებს — სიტყვა „დინამო" მუდამ ასოცირდებოდა არა ენერგიის გამომუშავებელ ხელსაწყოსთან, არამედ ხალხით გადაჭედილ სტადიონთან და მოედანზე ლაღად მოთამაშე თბილისის „დინამოსთან".

მართალია, იყო დრო, როცა ჩვენი „დინამოს" საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის ბრძოლა უწევდა (ასე იყო 1983 წელს), მაგრამ ქართული გუნდის თამაშებს არასოდეს მოკლებია მაყურებელი და ომახიანი „დინამო"! „დინამო!". თუნდაც, იმასაც გავიხსენებთ, როცა მოსკოვის „სპარტაკი", მოსკოვის „დინამო" ანდა, სხვა კლუბები ევროტურნირების მატჩების ჩასატარებლად თბილისს ირჩევდნენ, იმიტომ, რომ მათ საქართველოს დედაქალაქში ეგულებოდათ ნამდვილი გულშემატკივარი. უცხოური კლუბების ხელმძღვანელები ხშირად განცვიფრებულან ქართველ გულშემატკივართა საყვარელი გუნდის ქომაგობით. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

დღეს ეს უკვე ცნობილი მოგონებაა. ქართული ფეხბურთის საქმე უკან წავიდა, ჩვენი გუნდებისათვის ევროტურნირების პირველი წრის გადალახვაც კი გადაუჭრელ პრობლემად იქცა. და, რაც მთავარია, სტადიონს მაყურებელი მოაკლდა, მაყურებელი, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა ეროვნული ჩემპიონატების დასაბამს. ხალხმრავლობა (ისიც მხოლოდ ნაწილობრივ) მხოლოდ საერთაშორისო მატჩებზე თუ შეინიშნება, მაგრამ ასეთ დროსაც კი არ იგრძნობა მხურვალე ქომაგობა. რამდენიმე ათეული ათასი ქართველი მაყურებლის თამაშის პერიპეტიებზე ყაყანს ერთიანად ფარავს უცხოური კლუბის ორმოცდაათიოდე გულშემატკივრის გუგუნი. ასე იყო ამას წინათ, „ლოკომოტივი" — „კოპენჰაგენის" უეფას თასის გათამაშების მატჩში, როცა სტუმართა მცირერიცხოვანი დელეგაცია 90 წუთის განმავლობაში მხურვალედ ქომაგობდა „კოპენჰაგენს".

ქართველი გულშემატკივრები კი პირველად გაკვირვებული შეცქეროდნენ დანიელ გულშემატკივრებს.

გასაგებია, რომ „ლოკომოტივი" უფერულად თამაშობდა. გასაგებია, რომ ფეხბურთელები ბევრ უხეშ შეცდომას უშვებდნენ, მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, თუკი ათი ათასი გულშემატკივარი დანიელთა მსგავსად მხურვალედ უქომაგებდა, ცხადია, ფეხბურთელებიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებდნენ და თავს გაწირავდნენ გამარჯვებისათვის. ბევრს, ალბათ, გაეცინება, რისი მაქნისები არიან რკინიგზელები, თამაში 1-4 წააგესო, კი ბატონო, მაგრამ ქართველი გულშემატკივრების ყიჟინა ხომ ფსიქოლოგიურ გავლენას მოახდენდა სტუმრებზე? აკი პირველ მატჩში, „კოპენჰაგენის" სტადიონი ლამის „დაინგრა", როცა „ლოკომოტივი" 1-0-ს იგებდა.

დავანებოთ თავი „ლოკომოტივს", მით უფრო, რომ თავად „გაგვანება თავი". როგორც იქნა, თბილისის „დინამომ" უეფას თასის მეორე წრეში გააღწია, სადაც უძნელესი მატჩი ელის ჩეხურ „ლიბერეცთან". დარწმუნებული ვარ, გუნდს ერთიანი ქომაგობა სჭირდება, რათა ფეხბურთელებმა იგრძნონ დიდი პასუხისმგებლობა. გასაგებია, რომ დღეს ყველას უამრავი პრობლემა აწუხებს, მაგრამ ისინი, ვინც საშუალებას გამონახავენ და „დინამო" „ლიბერეცის" თბილისური მატჩის სანახავად სტადიონზე მივლენ, ე.ი. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ფეხბურთიც აინტერესებს და რა დაშავდება, რომ 90 წუთის მანძილზე, ისევე დასცენ ომახიანი „დინამო! დინამო!" და ისევე ისიამოვნონ ფეხბურთით, როგორც ამას აკეთებდნენ ის სტაჟიანი გულშემატკივრები, რომლებიც დღეს ტკბილი ნოსტალგიებით ცხოვრობენ და ისევ ის ძველი, მიხეილ მესხის, ავთანდილ ღოღობერიძის, დავით ყიფიანის, ვიტალი დარასელიას, ალექსანდრე ჩივაძის „დინამო" მონატრებიათ.

თენგიზ ჩოგანიძე

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ინტერმა“ რონალდო გაყიდა



საბოლოოდ დასრულდა მილანის „ინტერიდან“ რონალდოს წასვლასთან დაკავშირებული ეპოპეა. მსოფლიო ჩემპიონი და პლანეტის უმთავრესი ასპარეზობის საუკეთესო ბომბარდირი ახლა უკვე მადრიდის „რეალის“ საკუთრებაა. სატრანსფერო თანხამ 46 მილიონი ევრო შეადგინა. აქედან 10 მილიონ დოლარს იტალიელები ზამთარში მიიღებენ, ხოლო დანარჩენ თანხას — უახლოესი 5 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, „ინტერს“ წარუდგენენ მთელ რიგ მოთამაშეებს, რომელთაგან რონალდოს ყოფილი კლუბი თავისი შეხედულებისამებრ აარჩევს.

ასე რომ, რონალდოს კარიერაში მეორე ესპანური „ხანა“ დაიწყო. ადრე ის ხომ „ბარსელონას“ ღირსებას იცავდა.

სხვათა შორის, მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობამ რონალდოს შემცვლელი მოძებნა: მილანელები 26 მილიონ ევროს გადაუხდიან „ლაციოს“, სამაგიეროდ, თავიანთი გუნდის მეცხრე ნომერი ერნარ კრესპო იქნება.

## „იუვენტუსი“ დი ვაიოთი გაძლიერდება

ტურინის საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობამ სწრაფად „იპოვა“ ტრავმირებული დავიდ ტრეზეგეს შემცვლელი (ფრანგი ფეხბურთელი, ექიმების დასკვნით, ნახევარი წლის შემდეგ თუ დაუბრუნდება მინდორს) — „პარმასაგან“ მარკო დი ვაიო იყიდა. ეს ტრანსფერი 26 მილიონ ევროდ და ნახევარმცველ მარკო ბრიგის დათმობის საფასურად შედგა.

დი ვაიო ბოლო წლებში „პარმას“ ლიდერად ითვლებოდა. თავად განსაჯეთ, უკანასკნელი სამი სეზონის განმავლობაში მან 41 გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში. „პარმამდე“ დი ვაიო იცავდა „ლაციოს“, „ვერონას“, „ბარისა“ და „სალერნიტანას“ ღირსებას.

ალბათ, ბედის ირონიაა ისიც, რომ „პარმას“ შემადგენლობაში უკანასკნელი გოლი დი ვაიომ... „ბებერი ქალბატონის“ კარში გაიტანა. ეს მოხდა 25 აგვისტოს, იტალიის სუპერთასისათვის გამართულ მატჩში, რომელიც „იუვენტუსმა“ 2-1 მოიგო.

## კიევის „დინამომ“ ლეკო იყიდა

კიევის „დინამომ“ უკრაინის ჩემპიონატებისათვის რეკორდული თანხა გაიღო ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელის ერკო ლეკოს შესაძენად. სატრანსფერო თანხამ 4 მილიონი ევრო შეადგინა. კონტრაქტის ვადა ოთხი წლით განისაზღვრა.

## „რეალმა“ სუპერთასიც მადრიდში წაიღო

„რეალი“ (ესპანეთი) – „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 3-1

*„რეალი“:* კასილიასი, სალგადო, იერო, რობერტო კარლოსი, ივან ელგერა, ზიდანი (სოლარი), მაკელელე, გუტი (პორტილიო), კამბიასო (პავონი), რაული, ფიგუ.

*„ფეიენოორდი“:* ზუტებირი, ჯიანი (ბიუფელი), ქონსა, ბოსველტი, კალუ, ვან ვონდერენი, ვან ჰოიდონკი, ლიურლინგი, ონო, პაუვე, ემერტონი.

*გოლები:* 1-0, პაუვე (14), 2-0, რობერტო კარლოსი (21), 2-1 ვან ჰოიდონკი (56), 3-1 გუტი (60)

*მსაჯი:* დალასი (შოტლანდია).

მადრიდის „რეალმა“ თავის ჯილდოების კოლექციას გასულ კვირაში კიდევ ერთი ჯილდო შემატა — სამეფო კლუბმა ევროპის სუპერთასი მოიგო. ამ პრიზისთვის ბრძოლაში კი მადრიდელებმა ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“ სძლიეს — 3-1.

ზიდანის, ფიგუსა და რობერტო კარლოსის გუნდმა, ახლა უკვე რონალდოს გუნდმაც ყველას დაანახვა, რომ მათ კონკურენტები ევროპაში არა ჰყავთ.

სხვათა შორის, სუპერთასი „რეალს“ მანამდე არ ჰქონია მოგებული და ცხადია, მონაკოს სტადიონზე ამ გუნდის ფეხბურთელები გამარჯვების წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე.

პირველი ტაიმი რობერტო კარლოსის ნამდვილი ბენეფისი იყო: ბრაზილიელი მცველი ბრწყინვალედ ერთვებოდა შეტაკებაში და პირველ 45 წუთში გატანილ ორ გოლში ლომის წილი დაიდო. ჯერ მე-14 წუთზე მისი გადაცემებით პატრიკ პაუვემ გახსნა ანგარიში, 7 წუთის შემდეგ კი თვით რობერტო კარლოსმა გაიტანა ულამაზესი გოლი.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჰოლანდიელები აქტიურობდნენ. მათ 56-ე წუთზე ვან ჰოიდონკის გოლის შემდეგ მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ, მაგრამ გუტიმ მესამე გოლი გაიტანა „ფეიენოორდის“ კარში — 3-1. ეს შედეგი ბოლომდე უცვლელი დარჩა.

„რეალის“ დიდებულმა თამაშმა „ფეიენოორდის“ მთავარ მწვრთნელს ბერტ ვან მარვეიკს ათქმევინა: „დღეს „რეალის“ შეჩერება შეუძლებელია“. მართლაც რომ ასეა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდში ახლა უკვე რონალდოც თამაშობს!






## ტრაპატონიმ შემადგენლობა დაასახელა

იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაასახელა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც „სკუადრა აძურას“ ღირსებას დაიცავენ აზერბაიჯანის ნაკრებთან მატჩში.

*მეკარეები:* ბუფონი, ტოლდო.

*მცველები:* ადანი, კანავარო, კოკო, იულიანო, მატერაცი, ნესტა, ოდო, პანუჩი.

*ნახევარმცველები:* ამბროზინი, დი ბიაჯო, დონი, გატეზო, პირლი, ტომაზი, ზაური.

*ფორვარდები:* დელ პიერო, დი ვაიო, ფ. ინძაგი, მონტელა, ვიერი.

## ერიქსონმა დევიდ სიმენი ნაკრების გარეთ დატოვა

ინგლისის ნაკრები 7 სექტემბერს გამართავს ამხანაგურ მატჩს პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ. ეს იქნება ინგლისელთათვის პირველი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა გარკვეული ცვლილებები მოახდინა შემადგენლობაში. კერძოდ, აღარ მოიწვია მეკარე დევიდ სიმენი, რომელმაც საკუთარი იმიჯი მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიელებთან მატჩში გაშვებული გოლების გამო დაკარგა.

სამაგიეროდ, ნაკრებს დაუბრუნდნენ მინდვრის მოთამაშეები ლი ბოიერი და ჯონათან ვუდგეიტი, ორივე მათგანი ნაკრებს მილმა თავის დროზე პაკისტანელი სტუდენტის ცემის ფაქტის გამო დატოვეს.

გაგაცნობთ ერიქსონის მიერ პორტუგალიელებთან მატჩისათვის მოწვეულ ფეხბურთელთა სიას:

*მეკარეები:* ჯეიმსი, რობინსონი.

*მცველები:* მილზი, ფერდინანდი, კოული, საუთგეიტი, ვუდგეიტი, ბრიჯი.

*ნახევარმცველები:* ჰარივრივზი, ბექჰემი, ჯერარდი, მერფი, სინკლეირი, ბოიერი, ბატი, დაიერი, ჯ. კოული.

*თავდამსხმელები:* ჰესკი, ოუენი, სმიტი.

## ანელკას დაბრუნება




საფრანგეთის ნაკრების ექსფორვარდმა ნიკოლა ანელკამ, რომელმაც ამ ზაფხულს სკანდალურ ვითარებაში დატოვა „ლივერპული“, დაკარგული იმიჯის დაბრუნება ახალ კლუბში — „მანჩესტერ სიტიში“ ბრწყინვალე თამაშით დაიწყო პრემიერ-ლიგის მორიგი ტურის მატჩში „ევერტონთან“. ანელკამ ჰეთ-თრიკი შეასრულა.

ჯერ იყო, მატჩის პირველ ნახევარში სამი წუთის განმავლობაში ორჯერ დალაშქრა მეტოქის კარი. მესამე გოლი კი ფრანგმა ლეგიონერმა 89-ე წუთზე გაიტანა.

## ციგე ვერ ითამაშებს




გერმანიის ნაკრების მცველი კრისტიან ციგე ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს (ლიტვის ნაკრების წინააღმდეგ) გამოტოვებს. ამის მიზეზი ოჯახური მდგომარეობაა: კრისტიანს დედა გარდაეცვალა და მიუნხენში გაფრინდა. მწვრთნელი რუდი ფიოლერი გაგებით მოეკიდა სიტუაციას და ფეხბურთელი ნაკრებში აღარ გამოიძახა.

# ევროპის ქვეყნების ჩემპიონატების შედეგები

### ინგლისი. პრემიერლიგა

ბირმინგემი-ლიდსი 2-1 (1-0)
სიტი-ევერტონი 3-1 (2-1)
მიდლსბრო-ბლექბერნი 1-0 (0-0)
სანდერლენ.-მანჩესტერი 1-1 (0-1)
ტოტენჰემი-საუთჰემპტ. 2-1 (1-1)
ვესტ ბრომვიჩი-ფულემი 1-0 (0-0)
ვესტ ჰემი-ჩარლტონი 0-2 (0-2)
ბოლტონი-ასტონ ვილა 1-0 (0-0)
ჩელსი-არსენალი 1-1 (1-0)

### ინგლისი. I დივიზიონი

დერბი-სტოკი 2-0
ბრედფორდი-როტერჰემი 4-2
ბარნლი-კრ. პალასი 0-0
ლესტერი-ჯილინგემი 2-0
მილუოლი-გრიმსბი 2-0
ნორვიჩი-უოტფორდი 4-0
პორტსმუთი-ბრაიტონი 4-2
უოლსოლი-რედინგი 0-2
უიმბლდონი-ვულვზი 3-2
ქოვენთრი-ნოტინგემი 0-1
უენსდი-შეფილდი 2-0
პრესტონი-იფსვიჩი 0-0

### ესპანეთი. I დივიზიონი

რასინგი-ვალიადოლიდი 0-1 (0-0)
რაიო-ალავესი 2-2 (1-1)
სოსიედადი-ბილბაო 4-2 (2-1)
ვილიარეალი-ოსასუნა 2-2 (2-0)
მალიორკა-ვალენსია 0-2 (0-1)
უელვა-მალაგა 2-3 2-1)



„რეალ-სოსიედადმა“ რიხიანად დაიწყო...

ბარსელონა-ატლეტიკო 2-2 (1-1)
დეპორტივო-ბეტისი 2-4 (1-3)
სევილია-სელტა 0-1 (0-1)

### ესპანეთი. II დივიზიონი

ხეტაფე-ლევანტე 2-2
ტერასა-ალბასეტე 1-1
ლას პალმასი-ფეროლი 2-0
ელჩე-ხერესი 0-1
ალმერია-სალამანკა 1-2
ნუმანსია-ხიხონი 1-0
ბადახოსი-ლეგანესი 0-0
კომპოსტელა-ტენერიფე 1-1
ეიბარი-ეხიდო 0-0
ოვიედო-მურსია 0-1
სარაგოსა-კორდობა 0-0

### საფრანგეთი. I დივიზიონი

ლანსი-მონაკო 1-0 (1-0)
ბასტია-რენი 3-1 (2-1)
გენგამი-ბორდო 0-0 (0-0)
მონპელიე-ლე ავრი 0-0 (0-0)
პსჟ-ნიცა 1-1 (0-0)
სედანი-ნანტი 1-0 (1-0)
სოშო-ლიონი 2-1 0-0)
სტრასბური-ლილი 2-2 (1-0)
ტრუა-აიაჩო 1-0 (1-0)
მარსელი-ოსერი 0-0 (0-0)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| ოსერი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| ლანსი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| პსჟ | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 15-8 | 8 |
| გენგამი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| ბორდო | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| სოშო | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| მარსელი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-4 | 8 |
| ნანტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| მონაკო | 5 | 2 | 0 | 3 | 5-3 | 6 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| სტრასბური | 5 | 1 | 3 | 1 | 6-9 | 6 |
| აიაჩო | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ტრუა | 5 | 1 | 2 | 2 | 2-6 | 5 |
| მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 2-5 | 4 |
| სედანი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-8 | 4 |
| ლილი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-8 | 3 |
| რენი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |

### პორტუგალია. I დივიზიონი

ბრაგა-ფერეირა 1-0 (1-0)
ბელენენსეში-აკადემიკა 2-0 (1-0)
გიმარაეში-ნასიონალი 3-2 (1-1)
ბეირა მარი-ბენფიკა 0-2 (0-1)
ვარზიმი-მორეირენსე 1-0 (0-0)
ჟილ ვისენტე-სეტუბალი 0-1 (0-0)
მარიტიმუ-ლეირია 2-0 (1-0)
სპორტინგი-სტ. კლარა 2-1 (1-0)

### ჰოლანდია. I დივიზიონი

ვალვაიკი-ტვენტე 3-2 (1-1)
როდა-ტილბურგი 1-0 (0-0)
ბრედა-ნაიმეგენი 0-0 (0-0)
ზვოლე-ვიტესი 1-0 (0-0)
გრონინგენი-აიაქსი 1-3 (0-2)
როზენდალი-ჰერენვენი 3-0 (2-0)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| ვალვაიკი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-5 | 9 |
| პსვ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| როდა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| ცვოლე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| ფეიენოორ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| როზენდალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| ტილბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ნაიმეგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| გრააფსხაპი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| ბრედა | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| ვიტესი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| ალკმაარი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| უტრეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ექსელსიორი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ტვენტე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| გრონინგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### რუსეთი

სპარტაკი-სატურნი 0-2 (0-1)
დინამო-სოკოლი 2-1 (0-0)
ლოკომოტივი-კრილია 2-0 (2-0)
როსტსელმაში-შინიკი 1-1 (0-1)
ანჟი-როტორი2-1 (0-0)
ცსკა-ტორპედო 2-3 (0-2)
ურალანი-ალანია 2-0 (1-0)
ზენიტი-ზილი 0-0 (0-0)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტ. | 23 | 15 | 7 | 1 | 33-8 | 52 |
| სპარტაკი | 24 | 14 | 5 | 5 | 40-30 | 47 |
| ცსკა | 22 | 14 | 3 | 5 | 43-21 | 45 |
| სატურნი | 22 | 11 | 6 | 5 | 32-24 | 39 |
| კრილია | 22 | 11 | 3 | 8 | 32-26 | 36 |
| დინამო | 22 | 10 | 3 | 9 | 27-21 | 33 |
| ტორპედო | 22 | 9 | 5 | 8 | 32-26 | 32 |
| შინიკი | 23 | 8 | 7 | 8 | 30-31 | 31 |
| ზენიტი | 22 | 8 | 6 | 8 | 29-28 | 30 |
| როტორი | 22 | 7 | 4 | 11 | 17-23 | 25 |
| ალანია | 22 | 6 | 4 | 12 | 26-34 | 22 |
| ზილი | 22 | 4 | 9 | 9 | 16-28 | 21 |
| ანჟი | 23 | 4 | 8 | 11 | 18-36 | 20 |
| როსტსელმ. | 22 | 5 | 5 | 12 | 21-42 | 20 |
| სოკოლი | 22 | 2 | 7 | 13 | 17-30 | 13 |

# კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე

აშშ-ის ქალაქ ინდიანაპოლისში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ განვლილ დღეებში მომხდარი მოვლენები. ავიღოთ ჯერ პირველი ჯგუფური ეტაპი.

„A" ჯგუფში პირველი ადგილისთვის ძირითადი ბრძოლა იუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრებებს შორის გაიმართა. ესპანელებმა ორი ქულით იმარჯვეს — 71-69. ამავე ჯგუფში ერთი სენსაცია მოხდა. აუტსაიდერად მონათლულმა ანგოლის ნაკრებმა 10 ქულით მოუგო კანადის ნაკრებს (84-74) და ესპანეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებთან ერთად შემდგომ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

„B" ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ბრაზილიელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს. პუერტო-რიკოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მესამეზე აღმოჩნდა თურქეთის გუნდი.

„C" ჯგუფში მოასპარეზე ჩინეთის ნაკრებს ვერ უშველა თავისმა ლიდერმა. პირველივე დღეს აზიელები გერმანელებთან დამარცხდნენ — 76-88. მართალია მეორე ტურში ალჟირის სუსტ გუნდს მოუგეს, მაგრამ შემდეგ ამერიკელებთან წააგეს — 65-84 და მესამე ადგილი დაიკავეს. პირველზე, რა თქმა უნდა, აშშ-ის ნაკრები გავიდა.



აშშ — ჩინეთი

„D" ჯგუფში ტურნირის პირველივე დღეს ყველასთვის მოულოდნელად, რუსეთის ნაკრებმა ახალზელანდიელებთან წააგო — 81-90, შემდეგ არგენტინის ნაკრებთან დამარცხდა — 81-100 და ვენესუელელებთანაც რომ იგივე განმეორებულიყო, შინ გამგზავრება განაღდებული ექნებოდა. მესამე მატჩი რუსებმა 86-69 მოიგეს და მესამე ადგილი დაიკავეს არგენტინის და ახალზელანდიის გუნდების შემდეგ.

ჩემპიონატის დებულების თანახმად, ოთხი ქვეჯგუფიდან გასული 12 გუნდი ორ ჯგუფში განაწილდა (თითოეულში — 6-6).

პირველ ჯგუფში მოხვდნენ ესპანეთის, ბრაზილიის, იუგოსლავიის, პუერტო-რიკოს, თურქეთის და ანგოლას, მეორეში — არგენტინის, აშშ-ის, გერმანიის, ახალი ზელანდიის, რუსეთისა და ჩინეთის გუნდები.

## გუშინდელი შედეგები

**ჯგუფი A**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 244-178 | 6 |
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 269-205 | 5 |
| ანგოლა | 3 | 1 | 2 | 202-275 | 4 |
| კანადა | 3 | 0 | 3 | 199-256 | 3 |

იუგოსლავია-ანგოლა 113-63
კანადა-ესპანეთი 54-85
ანგოლა-კანადა 84-74
ესპანეთი-იუგოსლავია 71-69
ანგოლა-ესპანეთი 55-88
კანადა-იუგოსლავია 71-87

**ჯგუფი B**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 280-245 | 6 |
| პუერტო რიკო | 3 | 2 | 1 | 263-242 | 5 |
| თურქეთი | 3 | 1 | 2 | 268-246 | 4 |
| ლიბანი | 3 | 0 | 3 | 230-308 | 3 |

ბრაზილია-ლიბანი 102-73
პუერტო რიკო-თურქეთი 78-75
ლიბანი-პუერტო რიკო 77-99
თურქეთი-ბრაზილია 86-88
ლიბანი-თურქეთი 80-107
პუერტო რიკო-ბრაზილია 86-90

**ჯგუფი C**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 3 | 0 | 298-212 | 6 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 277-250 | 5 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 2 | 237-254 | 4 |
| ალჟირი | 3 | 0 | 3 | 212-308 | 3 |

ჩინეთი-გერმანია 76-88
აშშ-ალჟირი 110-60
გერმანია-აშშ 87-104
ალჟირი-ჩინეთი 82-96
ალჟირი-გერმანია 70-102
ჩინეთი-აშშ 65-84

**ჯგუფი D**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 319-238 | 6 |
| ახ. ზელანდია | 3 | 2 | 1 | 273-278 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 248-259 | 4 |
| ვენესუელა | 3 | 0 | 3 | 226-291 | 3 |

ახ. ზელანდია-რუსეთი 90-81
არგენტინა-ვენესუელა 107-72
ვენესუელა-ახ. ზელანდია 85-98
რუსეთი-არგენტინა 81-100
ვენესუელა-რუსეთი 69-86
ახ. ზელანდია-არგენტინა 85-112

**ჯგუფი E**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 159-124 | 4 |
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 178-172 | 4 |
| იუგოსლავია | 2 | 1 | 1 | 182-134 | 3 |
| პუერტო რიკო | 2 | 1 | 1 | 164-165 | 3 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 161-166 | 2 |
| ანგოლა | 2 | 0 | 2 | 118-201 | 2 |

02.09 პუერტო რიკო-იუგოსლავია
02.09 თურქეთი-ესპანეთი
02-09 ბრაზილია-ანგოლა
03.09 ანგოლა-თურქეთი
03.09 ესპანეთი-პუერტო რიკო
03.09 იუგოსლავია-ბრაზილია
04.09 პუერტო რიკო-ანგოლა
04.09 თურქეთი-იუგოსლავია
04.09 ბრაზილია-ესპანეთი

**ჯგუფი F**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 212-166 | 4 |
| აშშ | 2 | 2 | 0 | 188-152 | 4 |
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 175-180 | 3 |
| ახ. ზელანდია | 2 | 1 | 1 | 175-193 | 3 |
| რუსეთი | 2 | 0 | 2 | 162-190 | 2 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 2 | 141-172 | 2 |

02.09 ახ. ზელანდია-გერმანია
02.09 რუსეთი-აშშ
02.09 არგენტინა-ჩინეთი
03.09 ჩინეთი-რუსეთი
03.09 აშშ-ახ. ზელანდია
03.09 გერმანია-არგენტინა
04.09 ახ. ზელანდია-ჩინეთი
04.09 რუსეთი-გერმანია
04.09 არგენტინა-აშშ

## გურამ გაბუნია



გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის ღვაწლმოსილი მუშაკი გურამ გაბუნია.

დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ქ. ხონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში და იმავე, 1954-58 წლებში თამაშობდა გორის „დილას" საფეხბურთო გუნდში, იყო მისი კაპიტანი.

1959 წელს ქუთაისის „ტორპედოშია", ხოლო 1960 წლიდან გორის „დილას" მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. 1978 წლიდან მოყოლებული დიდხანს მუშაობდა „დილას" უფროსი მწვრთნელისა და გუნდის უფროსის თანამდებობებზე. პარალელურად ზრუნავდა ბავშვთა ფეხბურთზე. იყო ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექტორი. მისი თავდაუზოგავი მუშაობის შედეგი იყო, რომ „დილას" ფეხბურთელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი მოთამაშეებით. მისი გაზრდილები არიან თენგიზ ბურჯანაძე, ვანო გლავაცკი, ჯემალ მარღიშვილი და სხვები.

ქართულ ფეხბურთში გაწეული ამაგისთვის მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,
შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაცია,
მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის ფედერაცია.

პანაშვიდი: 3,4.IX, დაკრძალვა 5.IX. გამოსვენება გორის ცენტრალური სტადიონიდან 14 საათზე.

## შუმახერის აბსოლუტური რეკორდი




მიხაელ შუმახერმა, მოიგო რა კვირას გამართული „ფორმულა1"-ის მორიგი ეტაპი — ბელგიის „გრან-პრი", საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ის სპორტის ამ სახეობის მეფეა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — წარმატება ბელგიაში შუმახერისთვის რიგით მეათე იყო მიმდინარე სეზონში, რაც „ფორმულა1"-ის აბსოლუტურ რეკორდს წარმოადგენს. არადა, გამარჯვებათა სერიის გაზრდა მიხაელს კიდევ შეუძლია — სეზონის დამთავრებამდე ხომ კიდევ სამი ეტაპი დარჩა!

ბელგიის „გრან-პრი" „ფერარის" „დუბლით" დასრულდა. მიხაელ შუმახერისთვის კონკურენციის გაწევა ვერავინ შეძლო. გამარჯვებულის დრომ ერთი საათი, 21 წუთი და 20, 634 წამი შეადგინა. მეორე ადგილზე გავიდა რუბენს ბარიკელო („ფერარი"), რომელიც თანაგუნდელს 01,977 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე იყო „უილიამსის" პილოტი ხუან პაბლო მონტოია.

## ძეგლს დაუდგამენ

მიხაელ შუმახერის მშობლიურ ქალაქ კერპენის ადმინისტრაცია აპირებს ძეგლი დაუდგას „ფორმულა 1-ის" სახელგანთქმულ პილოტს. სხვათა შორის, გერმანიის ამ ქალაქში დღემდე ცხოვრობენ ძმები შუმახერების მშობლები, ხოლო მიხაელს იქ საკუთარი კარტინგ-ცენტრი აქვს გახსნილი.

საინტერესოა, რომ ქანდაკება შუმახერ-ორიგინალზე უფრო მცირე ზომის იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სკულპტორმა შეძლო ის, რაც ვერ შეძლეს „ფორმულა 1-ის" სხვა პილოტებმა, — „დააპატარავა" დიდი შუმახერი.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




3 სექტემბერი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (13.30), ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონატები: რუსეთის (13.20, 1.30), უკრაინის (15.05), ესპანეთის (17.15, 21.45), ინგლისის (19.20). კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეორე ეტაპის მატჩი (23.25, 3.25). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.45, 22.00), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00, 20.25), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (12.30, 16.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30, 3.45), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (20.00), ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი (3.15).

4 სექტემბერი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), მე-9 არხი. ფეხბურთი. ევროპის სტადიონებზე (14.45, 20.00), ***НТВ плюс футбол.*** კალათბურთი. მსოფილიო ჩემპიონატი. ვაჟები (13.15, 14.45, 18.05, 19.50, 0.55, 3.25), „ფუტბოლ მუნდიალი" (3.00). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.45, 20.00), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.40). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (ევროგოლები), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (14.00), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (16.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (17.00, 2.00).

5 სექტემბერი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45). ***НТВ плюс футбол.*** კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. (13.15, 15.45, 18.00), „ფუტბოლ მუნდიალი" (19.50, 5.30), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (23.10, 0.50), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (2.30), კალათბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები (3.25, 5.55). ***EUROSPORT.*** საცხენოსნო სპორტი. „სამსუნგის" ეროვნებათა თასი (13.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური (14.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.00), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (17.00, 20.00), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.45, 20.00).



## ლიუისი სამკერვალო ფაბრიკას ხსნის

მსოფლიოს საუკეთესო პროფესიონალმა მოკრივემ ლენოქს ლიუისმა გადაწყვიტა, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ბიზნესს. ის აპირებს, განაში ააშენოს სამკერვალო ფაბრიკა, რომელიც ცნობილი ამერიკული კომპანია „ფაბას" ფილიალი იქნება და სპორტულ ტანსაცმელს გამოუშვებს. პროდუქციის რეალიზება მოხდება არა მხოლოდ განის საბაზრო სივრცეში, არამედ საზღვარგარეთაც.

მოკრივის პრომოუტერმა დონ ეინგმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ განაში აუცილებელია მრეწველობის განვითარება. ფაბრიკის პროდუქცია კი კონკურენციას გაუწევს იმპორტულ საქონელს. ამ საკითხის თაობაზე ლიუისს უკვე ჰქონდა შეხვედრა განას პრეზიდენტთან კუფურთან, რომელიც დაეთანხმა მოკრივეს. სხვათა შორის, ლიუისს ეს ქვეყანა შემთხვევით არ აურჩევია ბიზნესის საწარმოებლად. — მისი წინაპრები თურმე განელები ყოფილან.

## კროსვორდი № 68




თარაზულად: 1. სპორტულ ასპარეზობაში ჩამორჩენილი, 5. დიდი სანახაობა, წარმოდგენა, 6. ქართული ჟურნალი, 8. გემთა ერთობლიობა, 9. ქართული ჭიდაობის ილეთი, 10. კორეის ნაკრების ფეხბურთელი, 12. ბილიარდის ჯოხი, 13. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 14. ახლო წარსულში ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 15. ჰუკი ანუ... 17. ჭადრაკში ცნობილი ინდოელი დიდოსტატი ვაჟი, 19. გერმანიის საფეხბურთო კლუბი.

შვეულად: 2. იტალიაში ფეხბურთის გულშემატკივარი, 3. იგივეა, რაც განთიადი, რიჟრაჟი, 4. სამედიცინო ტერმინი, 5. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 7. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 8. სპორტული შედეგი, 11. რჩეულ სპორტსმენთა გუნდი, 12. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 13. წარსულში ცნობილი საჭადრაკო მწვრთნელი, ამზადებდა ნ. გაფრინდაშვილსაც, 16. ერთი ქვეყნის ხალხთა ერთობლიობა, 18. წარსულში ცნობილი ვაჟი ფრანგი ჩოგბურთელი.

### კროსვორდი №67. პასუხები

თარაზულად: 1. სოკი, 3. ბურიაკი, 7. ბაკურიანი, 9. „ლეჩე", 11. ეტლი, 12. ქარსელაძე, 13. „ალია", 16. ლია, 19. ორლანი, 20. ხანტეი, 21. ორგია. შვეულად: 1. სიო, 2. კანოე, 4. იორი, 5. კვანტალიანი, 6. „ვილი", 8. კალაძე, 10. ჩარდახი, 14. ალიონი, 15. ბროლი, 16. ლენა, 17. ენდო, 18. ლეკო.

## საჭადრაკო ამოცანა

ლ, კუბელი, 1909 წ.




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. c4! 1. ...მფb4 2. ლc3X.
1. ...მფa6 2. ლa8X. 1. ...a3 2. ლ:a3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com